

**სივრცითი, სოციალური და ეკონომიკური მობილობის ზრდას
კრიტიკული მნიშვნელობა აქვს სამხრეთ კავკასიაში საერთო ეკონომიკური
კეთილდღეობის მისაღწევად, აცხადებს
მსოფლიო ბანკი**

თბილისი, 8 მაისი, 2019 – სამხრეთ კავკასიაში განხორციელებულმა შესამჩნევმა გაუმჯობესებებმა 12 წელიწადში (2005-დან 2017 წლამდე პერიოდში) მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდა და სიღარიბის დონის განახევრება გამოიწვია. ამის მიუხედავად, ძლიერი საშუალო ფენის მქონე საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მთავრობებს ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა მოუწევთ ისეთივე სტაბილურობისა და მდგრადობის მისაღწევად, როგორსაც ევროპისა და ცენტრალური აზიის უფრო წარმატებულ ქვეყნებში ჰქონდა ადგილი - ნათქვამია მსოფლიო ბანკის ახალ ანგარიშში „სამხრეთ კავკასია მოძრაობაში“.

ამ კვლევაში სამხრეთ კავკასიაში სიღარიბისა და უთანასწორობის დონეები მობილობის კუთხით არის შესწავლილი. მასში გამოყენებულია ინფორმაციის მრავალფეროვანი წყაროები, მათ შორის შინამეურნეობების ბიუჯეტისა და შეხედულებების კვლევის შედეგები, ადმინისტრაციული ჩანაწერები საზოგადოებრივი მომსახურებების შესახებ, სტანდარტული საერთაშორისო ტესტების შედეგები და ღამის საათებში განათების შესახებ არსებული ინფორმაცია კი. საერთო ჯამში, ეს კვლევა დამაჯერებელ მტკიცებულებებს იძლევა სოციალური, ეკონომიკური და სივრცითი მობილობის შემზღვევით ფაქტორების შესახებ.

„ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველომ მნიშვნელოვანი ეკონომიკური წინსვლა განახორციელა. მდგრადი განვითარების, სიღარიბის შემცირებისა და საშუალო ფენის კონსოლიდაციისთვის აუცილებელია ინსტიტუციონალური და ფიზიკური საფუძვლების შექმნა ყველა უბნისა და რაიონის ეკონომიკური და სოციალური მობილობის ასამაღლებლად,“ ამბობს მერსი ტემზონი, მსოფლიო ბანკის რეგიონალური დირექტორი სამხრეთ კავკასიაში.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ მოწყვლადობა კვლავაც გამოწვევად რჩება. იმის მიუხედავად, რომ ბევრი შინამეურნეობის შემოსავალი დროებით გაიზარდა, მრავალი მათგანი გარკვეული პერიოდის შემდეგ ისევ სიღარიბეში დაბრუნდა.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რთული გეოგრაფიული პარამეტრები, მათი ეკონომიკების შედარებითი სიმცირე, დივერსიფიკაციის ნაკლებობა და ემიგრაციითა და დაბალი შობადობით გამოწვეული დემოგრაფიული გამოწვევები მაკროეკონომიკურ რისკებთან ერთობლიობაში სერიოზულ პრობლემებს ქმნის. ამის გამო, ეკონომიკური რესურსების განაწილების ეფექტიანობასა და ეკონომიკის დარგების დინამიურობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და მთლიან რეგიონში მდგრადი განვითარების, სიღარიბის შემცირების და გაზიარებული კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

და ბოლოს, აღნიშნულ ანგარიშში შემოთავაზებულია სამხრეთ კავკასიაში მობილობის გაუმჯობესების გეგმა, რომელიც სამი საფეხურისგან შედგება:

- 1) ეკონომიკური აქტივობისა და ბაზრის პოტენციალის ზრდისა და რეგიონულ განვითარებაში ადამიანთა მონაწილეობის გააქტიურების ხელშეწყობა სატრანსპორტო კავშირებისა და ძირითადი მომსახურებების გაუმჯობესების გზით;
- 2) ადამიანურ კაპიტალში ინვესტირება სწავლის შედეგების გაუმჯობესებისა და უნარების განვითარების გზით, ძირითადი ხელშემწყობი ისეთი საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მეშვეობით როგორც არის ხარისხიანი განათლება;
- 3) საშუალო ფენის ეკონომიკური სტაბილურობის გამყარება ისეთი პოლიტიკის გატარების გზით, რომელიც მიზნად ისახავს შემოსავლის ცვალებადობისა და შოკების მიმართ შინამეურნეობების მდგრადობის ზრდას მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და საპენსიო სისტემების გაფართოებისა და ფინანსური ბაზრების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით.

სრული ანგარიშის ნახვა შესაძლებელია მისამართზე: <http://wrlld.bg/OcaB30oEb4G>

საქართველოში მსოფლიო ბანკის მუშაობის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის
ესტუმრეთ ვებგვერდს: <http://www.worldbank.org/ge>

საკონტაქტო პირები:

თბილისში: ინგა პაიჭაძე, (+ 995 32) 913 096, (+995 77) 77 00 72, ipaichadze@worldbank.org
ვაშინგტონში: სონა ფანაჯიანი, (+ 1 202) 473 9751, spanajyan@worldbank.org